შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი.

№ 18.

კვირა, სექტემბრის 7, 1908 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მ.ნ.
ნახევარი წლით — 3 მან.
ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.
ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის იუბილეის გამო—ბოსლეველისა; არა იციან რასა იქმან—ალექსი ბერისა; ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს—ივერიელისა; ქრისტე ღმერთი და ივანე გომართელის იშიბოშია—სანმანიანისა; ქართველ ქალთა საყურადღებოდ—ნ. მკურნალისა; კუჰის მსახურს—(ლექსი) ონოფრე მწირისა; ვასილ პეტრიაშვილს; წერილი რედაქციის მიმართ—მღვ. რაჟდენ სანებლიძისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ცხოვრება და მწერლობა.

ილია ჭავჭავაძის უეცარმა და მხეცურმა სიკვდილმა თავის დროზე ასმრა და აალელვა საზოგადოთ მთელი კავკასია და კერძოთ მთელი ქართველობა. და ჩვენც ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ეხლა მაინც გაუზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებანი ჩვენი ახალი ჟურნალის მკითხველებს ქართული მწერლობის ასეთ სამწუხარო და მძიმე დანაკარგისა გამო. სიკვდილი შესანიშნავის მწერლისა და საზოგადო მოღვაწისა დიდს უბედურებას შეადგენს ქართული მწერლობისათვის და შეიძლება სხვისთვისაც.

შესაძლებელია ვინმე გულუბრყვილოძ იფიქროს რა დამოკიდებულება აქვს ჭავჭავაძის სიკვდილს ხალხის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობასთან, რომელსაც ამ შავბნელ დროს დღიური არსებობის საკითხები უფრო აინტერესებს, ვინემ წმიდა ლიტერატურულიო?

პირველის შეხედვით,—არავითარიო, იტყვის საქმეში ჩაუხედველი მკითხველი. ჭავჭავაძე წმიდა მწერლობის მუშაკი უფრო იყოო—და მისი სიკვდილიც მათთვის უფრო საგრძნობელი არის ვისაც წმიდა მწერლობის სვე-ბედი აინტერესებს. ეკონომიურ წარმატებასთან, რომლითაც ჩვენ გაჭრულ დროში გატაცებულია, უმ-

რაულესობა, მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვსო...

მაგრამ ეს ასე ზერელე შესედვით ეჩვენება დაუკვირვებელ მკითხველს... საჭირო არის ჩაუკვირდეთ და ღრმათ შეიგნოთ მოვლენათა სული და გული და თავი გავიოთავისუფლოთ იწრო ჰარტიულ შეხედულებათაგან, და ისე ერთობით განვიხილოთ საზოგადო მოვლენათა თვითეული დარგი, მათ ურთიერთ შორის დამოკიდებულებაში... და ჩვენ შევიგნებთ, რომ ისეთმა მწერალმა, როგორიც განსვენებული ჭავჭავაძე იყო, სამართლიანად უნდა დაიჭიროს საპატიო ადგილი იმ საზოგადო მოღვაწეთა შორისაც, რომლებიც იღვწიან საზოგადოების ნივთიერ წარმატებისათვის.

არ მოიპოვება საზოგადო მოღვაწეობის ისეთი დარგი, რომელსაც სხვასთან კავშირი და დამოკიდებულება არა ჰქონდეს. სულიერ და ფიზიკურ შრომის ყველა მოღვაწეები—მწერლები, მასწავლებლები, მოხელეები, მუშები, მიწისმოქმედნი,—ყველა ერთი და იგივე დიდი ჯაჭვის რგოლებს წარმოადგენენ, რომლებიც ერთი მეორეზე მჭიდროთ არიან გადაბმულნი.

საზოგადოების თვითეული წევრს შეაქვს თვისი წვლილი საზოგადო სამუშაოს საალაროში, რომელიც ერთი დიდი მიზნისაკენ არის მიმართული—რაც შეიძლება, ძლიერად გამოაჩინოს ადამიანისადმი მინიჭებული ყველა სულიერი ძალები, სხვა ნაირათ რომ ვსთქვათ, მოუპოვოს ადამიანს ამ ქვეყნად მეტი ნივთიერი და სულიერი კეთილ-დღეობა. მადნის მუშა, რომელიც მიწის ბნელ წიაღში მუშაობს, და მწერალი, რომელიც ბნელის მადნიდამ ათავისუფლებს კაცის სულს, ორივე ერთი და იგივე საზოგადოების წევრნი არიან, რომელთა ერთი მეორისაგან გათიშულად წარმოდგენა მოუხერხებელია.

პირველი ხელს უწყობს ნივთიერ დირებულებათა დაგროვებას, მეორე კი ცხოვრების ჭაზრს, მნიშვნელობას, უხსნის ხალხს, უჩვენებს გზას, რომლითაც უნდა იაროს, აღვიძებს მათში კეთილისა და სამართლიანობისადმი სიყვარულს, რომელთა ცხოველს მოოველი ს იგი მემადნის მაღაროშიაც ატანს.

მადნის მუშა რომ არ ყოფილიყო, არც კულტურა იქნებოდა, არც ხელოვნება და მეცნიერება და არც კაცის გონების ნამოქმედარი, რომლითაც ჩვენ ასე მოგვწონს თავი... და ვინ იცის, იქნებ კაცობრიობა დღესაც ისევ ქვის საუკუნეში ყოფილიყო...

მეორეს მხრით, თუ მწერლები არ ყოფილიყვნენ, ეს ადამიანის ზნეობის მამოძრავებელნი, მაშინ მემადნეც მოკლებული იქნებოდა იმას, რაც ცხოვრებაში ყოლიფერზე უმეტესია, რაც აძლევს ცხოვრებას ჭაზრს და რწმენას წინმსვლელობისა და სიმართლისადმი...

მღ. ვლ. ფოფხაძე.

(შემდეგი იქნება).

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

დიდო მოძღვარო, ჩაგრულ ერის მადიდებელო!
დღეს საქართველო კვალად ანთხევს შენს საფლავს ცრემლებს;
კვალად იგონებს ვერაგულად შენს ულვთო სიკვდილს
და ეთხოვება შენთან მოკლულს თავის იმედებს *)

—

არა დღეს მხოლოდ—მარად ვიგლოვთ შენსა დაკარგვას·
ვერ მოვინელებთ ბოროტებას, რაც შეგამთხვიეს;
გულდაკოდილთა შენთა ძეთა, შენთა ქართველთა
შენს მაგიერი ქინქლილი ხელთ ვინღა გვიპყრიეს?!.

—

თუმც მწარე არის მოსაგონრად, ვითა სამსალა,
შენი სიცოცხლე, მზის დასვლის დროს ძალად მოკლული,
მაგრამ ვიქარვებთ გულის წუხილს, რომ მაგ სიკვდილმა
შენს სატრფოს მამულს გარდაჰპანა სულთხდომის წყლული;

—

და აღგისრულდა შენი ნატვრა, შენი სურვილი,
სიკვდილის წამში არ შეძრწუნდი და არ გვიმტყუნე:
შენი მამულის სამსხვერპლოზე შედი უშიშრად
შენი სიკვდილით მის სიკვდილი მოჰკალ, დათრგუნე.

—

— ის იყო რომ შენი ერი, შენი ქვეყანა
ულირსთ შვილთაგან დაღუპვის გზას ექანებოდა;
ის იყო რომ მამულს, ენას გინიავებდენ
და ეროვნული გრძნობა ულვთოდ ილახებოდა...

—

მაგრამ განგებამ არ ინება ესრედ წარხდენა
დიდ ჭირ ნანახის და ნატანჯვის შენის ერისა,—
თურმე ამ დღისთვის ადრე იყო გარდაწყვეტილი
განგებისაგან შემზადება დიდის მსხვერპლისა,

—

რომელსაც უნდა დაერღვია, ამოეკვეთა
ურცხვი განზრახვა უნამუსოდ მყვირალ კაცების,
უარმყოფელი ღმრთაებისა ბილწი აზრები
და ეროვნული გრძნობის, ენის მოკვლის, დაცემის...

—

და დიდებული ესე საქმე შენა გხვდა წილად,
უმაგალითო, ნეტარ ხარ შენ, მსხვერპლო მამულის!
ამიერიდგან შენი საქმე შენთ შვილთა შორის
მარად ინათებს, არასოდეს არ წაიშლებისl!

—

და შენი სისხლი, წიწამურის ველზე ნთხეული,
ვით აბელ მართლის, ცათა შინა მარად ღაღადებს;
ყველას გვამხნევებს, სამღვთოდ წმინდათ კვალად გვამზადებს
და საქართველოს ერთობის ხმას შვილთ გვიქადაგებს.

ივერიელი.

1908 წ. 26 ავვისტო.

*) იგულისხმება ის იმედები, რომლებიც პეტერბურგში უნდა განეხორციელებია, როგორც ქართველ საბჭოს წევრს

ავტორი.

ქრისტე ღმერთი და ივანე გომართელის იჭიბოჭია *)

(გაგრძელება).

ამ ნაირად მაცხოვრის თვითცნობიერობა მოწმობს მის ღვთაებრიობას. მაგრამ თვით-

*) ის. „შინ. საქ" № 17.

ცნობიერობა არის ადამიანის სულის ერთი უხილავ თვისებათაგანი. იგი არ ექვემდებარება პირდაპირ განხილვა-გამოძიებას. მას ვერ დაინახავ ვერც უბრალო თვალით და ვერც მიკროსკოპით. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, კაცმა თავის ნამდვილი თვითცნობიერობა დამალოს, დაფაროს გარეშე მაყურებელისაგან და სხვა ნაირად აჩვენოს თავი, ე. ი. მოატყუოს, შეცდომაში შეიყვანოს მხილველი შესახებ თავის ვინაობისა. მაშინ რა საშვალება გვაქვს შევიტყოთ კაცის ნამდვილი თვითცნობიერობა? „ხე ნაყოფისაგან იცნობებისო“ ნათქვამია, აგრეთვე კაცის შინაგან განწყობილებას მისი გარეგანი მოქმედება გამოაჩენს. და არა თუ მოქმედება, სიტყვაც კი გამოაჩინებს ადამიანის ვინაობას. „სთქვი რამე, რომ გიცნოვო“, სთქვა ძველმა ფილოსოფოსმა. ამნაირად თუმცა თვითცნობიერობა თავისთავად უხილავია, მაგრამ მისი დამალვა გარეშე მაყურებელისაგან შეუძლებელია. ამ მხრით იგი მოგვაგონებს იმ ანდაზის შუბს, რომელიც ხალთაში არ დაიმალება. ადამიანის სხეულიც მისი შინაგანი არსების ტომარაა, რომელშიდაც, სადაც არ მოელი, იქ გამოყოფს თავს მისი თვითცნობიერება, ამის დასამტკიცებელ მაგალითების საძებრად შორს წასვლა არავის დასჭირდება, თუ მოიგონებს იმ აურაცხელ სოციალისტების ტყავში გახვეულ ვაჟბატონებს, რომლებმაც თავის მხეცურ მოქმედებით დაამტკიცეს, რომ მათ არაფერი საერთო არ ქონდათ ხალხის კეთილდღეობასთან და მხოლოდ სოციალისტურ ნიღაბით იფარვიდენ თავის ნამდვილ თვითცნობიერობას, რომ ესარგებლნათ ხალხის უსაზღვრო ნდობით თავის პირუტყულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთ მატყუარა თვითცნობიერების გამოსაცნობად, თვით მაცხოვარი გვაძლევს იარაღს შემდეგ სიტყვებში: „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთა, რომელნი მოვლენან თქვენდა სამოსლითა ცხოვართათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ; საქმეთა მათთაგან სცნათ იგინი.“

ამიტომ, თუ მაცხოვრის მაღალი ზნეობა საკმარისი საბუთი არ არის, რომ მისი თვითცნობიერება მოტყუებული არ იყო, მაშინ საჭიროა მივმართოთ სხვა საბუთს სახელდობრ იმას, თუ რამდენად ამართლებს მაცხოვრის თვითცნობიერობას მისი საქმენი და მოძღვრებანი?

როგორნი არიან საქმენი ქრისტესნი? ისეთი, როგორიც შეფერის ღმერთს და არა კაცს. კაცი უძღურია, ქრისტე ყოვლად ძლიერია: იგი ერთი სიტყვით ჰკურნებს ყოველგვარ სნეულებას, თვალს უხელს შობიდგან ბრმას, აღადგინებს მკვდარს, მიუტევებს ცოდვას, როგორც ადამიანის ავათმყოფობის დასაბამს, რასაც თვალსაჩინო შედეგად ჰყვება სნეულებისაგან განკურნება, ე. ი. ქრისტე ჰქმნის ისეთ საქმეებს, რომელიც აღემატება ადამიანის ძალ. ღონეს, ჰქმნის სასწაულებს. სასწაული!... ამ სიტყვის ამოკითხვაზე ერთს გულიანათ გადიხარხარებს ჩვენი ექიმ-მატერიალისტი და მასთან ყველა ჩვენი ყვინჩილა მატერიალისტები, რომლებსაც სასწაული არა სწამთ და არ ფიქრობენ კი, რომ მთელი მათი სწავლა-მეცნიერება დამყარებულია სასწაულებზე. გამოაცალეთ მას (სწავლა-მეცნიერებას) ეს სასწაულები და ნახავთ, რა სისწრაფით შეიმუსრება ის მეორე ბაბილონის გოდოლი, რომელსაც კაცობრიობა დიდი ხანია აშენებს მატერიალიზმის სახელით. მართლაც და რა არის ატომი, მონერა, სამარადისო მოძრაობა, თვითჩასახვა, ტვინისაგან აზრის წარმოშობა, რა არის თვით ეს სამარადისო მატერია თუ არ სასწაული სასწაულთა. და განა მხოლოდ ეს? აიღეთ, თუ გინდათ, კანტ-ლაპლას-გომართელის თეორია შესახებ ქვეყნის გაჩენისა. განა თავიდგან ბოლომდი სასწაულზე არ არის დამყარებული? მაშ რაღათ ჰყოფენ უარს სასწაულს სარწმუნოებაში? მიტომ რომ ეს სარწმუნოებაა და არა მეცნიერება. უკანასკნელისთვის სასწაულს კი არა, რას არ მიიღებენ ბ. ბ. მატერიალისტები? მათ მხოლოდ ღმერთი არ უნდათ, ღმერთი, შემოქმედი ცისა და ქვეყნისა და უმეტეს სძრწიან საუკუნო მისაგებელის წინაშე. ეს უკანასკნელია, რომ აფრთხობს მათ და იგინიც ემალებიან სასჯელს, როგორც ადამი, ხეებთა შორის, მაგრამ ვერ გრძნობენ უგნურნი, რომ

ადამიანთვე ვერ ასცდებიან მას.

როგორც არა ერთხელ გვითქვამს, უარის ყოფა ყოლიფრის შეიძლება, მაგრამ ამას საბუთი უნდა. სახარების სასწაულების უარყოფაც შესაძლებელია, თუ დავამტკიცებთ, რომ მათ ადგილი არ ჰქონია თავის დროზე, რომ იგინი მოგონილია სახარების მწერალთაგან. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამის დამტკიცება არავის უკისრნია და ვერც არავინ იკისრებს და თუ იკისრებს კისერს მოიტეხს იმ აუარაცხელ მოწმეთაგან, რომელნიც ამ სასწაულების თვით მხილველნი იყვნენ და რომელთაც არავითარი მიზანი არ ჰქონიათ უბრალო ვინმე ებრაელი გაელმერთებიათ და თავისი სიცოცხლე, თავისი მეთევზური ბედნიერება მისთვის შეეწირათ. სანამ სასწაულები საბუთიანათ უარყოფილი არ იქნებიან, სანამ თვალსაჩინოდ არ დაამტკიცებენ, რომ მათ არავითარი ნიადაგი არ ჰქონიათ ი. ქრისტეს ცხოვრებაში, მანამ ქრისტეს ღვთაებრიობა ეჭვ გარეშეა, წინააღმდეგ გომართლის გეკკელისგან ნასესხებ ხლაპრებისა.

მაგრამ მარტო ეს არ მოწმობს ი. ქრისტეს ღვთაებრიობას. ამასვე მოწმობს მისი მოძღვრებაც როგორია ეს მოძღვრება? ღვთიური, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა და არც მოველით, რომ იქნეს. შეადარეთ განვლილ საუკუნოების ზნეობრივ-გონებრივი ნაწარმოებები, დაწყებული ძველი დროიდგან, ვიდრე ახალ დროის სჯულის მდებელ მარქსამდე, შეადარეთ და ნახეთ სად არის უმაღლესი და უდიდესი მეცნიერება, უგონიერესი და უდიდებულესი ფილოსოფია, სად ირკვევა ყველა უმთავრესი სოციალური და ფილოსოფიური საკითხები სრულიად მარტივად, ყველასათვის გასაგებად და სასარგებლოდ. აიღეთ მაგ. მარქსის სოციალური მოძღვრება შესახებ მდიდრებისა და ღარიბებისა. მარქსი ეუბნება ღარიბებს: მოითმინეთ ცოტა ხანს, სანამ მთელ სიმდიდრეს რამოდენიმე კაცი ჩაიგდებდეს ხელში, მერმე სწვდით მათ ყელში, წაახრჩვეთ და მათი სიმდიდრე თქვენ დაინარჩუნეთ საერთო სიმდიდრეთო. იესო ქრისტეს მოძღვრება ამ სოციალურ საკითხს, ასე ხსნის: უკეთუ ვისმეს ორი პერანგი ჰქონდეს, გაიხადოს ერთი და მისცეს მას, ვასაც არ აქვსო. თავის თავად ცხადია მარქსი სთესს შურს, ჰქადაგებს ერთმანეთის მჭამლობას, ძმათა მკვლელობას, ე. ი. ამწვავებს ისედაც გამწვავებულ ბრძოლას, ულესს მახვილს ორივე მოპირდაპირე მხარეს! ხოლო იესო სთესს ძმათა სიყვარულს, ურთიერთ შორის სათნოებას, ამყარებს მშვიდობიანობას. ესთქვათ, მარქსის მოძღვრებამ იქონია გავლენა და დაიმორჩილა საზოგადოება. რა მოხდება? შეიქნება საერთო ელეტა, საიდგანაც გამარჯვებული გამოვლენ უფრო მხეცები, უფრო ავაზაკები, რომელნიც მთელ ნადაკლს თავისთვის მოინდომებენ და შეიქნება ისევ იგივე კაპიტალისტი და დაიწყება თავიდგან ხელახალი კონცეტრაცია და პროლეტარიზაცია. ასე ეგონა საფრანგეთსაც: ეგონა რევოლიუციით ძმობა-ერთობას შობდა და შვა უკიდურესი თვითმპყრობელობა, შვა ნაპოლეონ პირველი თავის ქაჯურ მიმართულებით. შემდეგ მას უნდოდა პირველი რევოლიუციის შეცდომა მეორე რევოლიუციით გაესწორებია და შვა რესპუბლიკა, რომელსაც არავითარი ძმობა-ერთობა არ დაუმყარებია, არამედ დააკმაყოფილა საშვალო კლასის მთავრობის მოყვარეობა, განავითარა უკიდურესი კაპიტალისტური წესწყობილება და შექმნა ნამდვილი დაღდაკრული პროლეტარიატი.

ეხლა ვთქვათ, მოხდა უბედურება და კაცობრიობამ, წინააღმდეგ ესდეკებისა, იცნო ქრისტე ღმრთად და მიიღო მისი უკანასკნელი მცნება სავალდებულოდ როგორ ფიქრობთ: იქნება სადმე კიდევ პროლეტარი? მგონია, არა. დადგება ძმობა-ერთობის ხანა? მგონია, კი. მაგრამ ჩვენ კიდევ ძრიელ შორს ვართ ასეთ შეგნებაზე. გაბედე თუ გული გაქვს და უთხარი სოციალდემოკრატს, შენი ზედმეტი ფაქიზი ტილოს პერანგი და გრძელცხვირიანი, თივთიკივით რბილი, პოლსაპოშკები სხვას მიეცი, ვისაც არ ჰქონდესთქო, და ნახე, რა სისტიკინებს აგაყოლებს! ან კიდევ მუნჯიევის „პიროჟნებს“ თავი დაანებე, ნამეტან ძვირად ჯდება და ეს საწყალ კაცს ხარკათ ედება კისერზეთქო და ნახავ, რა ნაირ თვალით შემოგხედავს.

მარქსი ეუბნება პროლეტარიატს გძულდეს კაპიტალისტი როგორც შენი მტერიო, და ამითვე ეუბნება კაპიტალისტს გძულდეს პროლეტარიატი, როგორც შენი და შენი კაპიტალის მტერიო. ქრისტე ამბობს გიყვარდეს მტერი შენიო. როგორ ფიქრობთ, ეს უკანასკნელი მცნება რომ განხორციელდეს, დარჩება კიდევ ადგილი ერთმანეთის მტერობისა? არა მგონია. პირველი რომ განხორციელდეს, რა მოხდება? ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა, სადაც თვით მარქსიც არ დათანხმდება ცხოვრებას. კარგია, ასეთი მოძღვრება მის სიცოცხლეშივე არ განხორციელებულა, თორემ პროლეტარიატის პირველი ტყვია მას მოხვდებოდა, პირველი ზარბაზნის ყუმბარა მის კაპიტალის ციხე-კოშკებს დაანგრევდა.

ასეთი შედარება შეგვიძლია დაუბოლოებლად განვაგრძოთ, მაგრამ ვფიქრობთ, საჭირო არ არის, და ცოდვაც არის, ქრისტეს შეუდარებელი სწავლა-მოძღვრება ვილაც ურიის სწავლა-მოძღვრებას შევადაროთ, ან უკეთ ვსთქვათ შემოქმედი შექმნილს შეუფარდოთ და მათ შორის მსგავსება-განსხვავება ვეძიოთ. უნჯობესია მაცხოვრის მოძღვრება თავისთავად დავაფასოთ. ავიღოთ მაგ. სწავლა: უკეთუ ვინმე მარჯვენესა ყვრიმალსა გცეს, მიუპყარ მარცხენეცა. ვსთქვათ, ყოველი კაცი ამ მცნებით არის გამსჭვალული; გკითხავთ, იქნება თუ არა ქვეყნად მცემელი? უკეთუ უნდა ვინმეს პირველყოფა, იყავნ ყოველთა მსახურ. ვთქვათ, ამ მცნებამ დაიპყრა ადამიანის გული, იქნება კიდევ ქვეყნად ბატონი და ყმა? მონა და უფალი, მბრძანებელი და აღმასრულებელი? გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენიო და როცა მოყვასის სიყვარული ადამიანის ბუნებითი მოთხოვნილება შეიქნება როგორ ფიქრობთ, იქნება კიდევ ძალმომრეობა, ჩაგვრა და ძარცვა, თუ არა? როგორც გინდათ, იანგარიშეთ, მაგრამ ამაზე უმაღლეს სოციალურ სწავლას ვერავინ მოიგონებს, ვერავინ შექმნის, მით უფრო ვერ შექნეს მარქსმა და მისმა წინაპრებმა. და უფრო გასაკვირველი აქ ის არის, რომ მათ უკვე არსებული სოციალური სწავლა-მოძღვრებით ვერ ისარგებლეს.

ასეთ ჰუმანიურ გზით, ასეთ დათმობის და მოთმინების საშუალებით ამყარებს ქრისტე ქვეყნად სასუფეველს, ძმობა-ერთობას, და ეს გზა ბუნებითია, ამ გზიდგან გადახვევა შეჰქმნის ძალმომრეობას და ნამდვილ ჯოჯოხეთად გადააქცევს ქვეყნიერებას, რომელშიდაც სატანასა და მის ანგელოზებს თუ ექნება ბინა და არა სასურველ ძმობა-ერთობას: ესდეკების სოციალისტურ სახელმწიფოის უმთავრესი მცნება (ნამდვილად კი სახარების) „ნუ უზამ სხვას მას, რაც შენი თავისთვის არ გინდოდესო“ მოთმინებას მოითხოვს.

ძველი კაცობრიობა სოციალურ წესწყობილებას ამყარებდა მონობაზე, ძალმომრეობაზე, ქრისტემ ცხოვრების საფუძვლად დასდო პიროვნული თავისუფლება, აღჭურვილი სიყვარულითა და მოთმინებით; ეხლანდელი მოძღვრები დარვინის მეთაურობით ამეფებენ კანონს — ბრძოლა არსებობისათვის, რაც იგივე ძალმომრეობაა. შეადარეთ ეს სამი ცხოვრების პრინციპი და უსაკილოდ დაინახავთ, რომელს მათგანს აზის სადვთო ბეჭედი. იესოს მიერ დაყენებული ცხოვრების პრინციპი სამარადისოა და იდეალური, მას ვერ წაუსწრობს კაცობრიობა, რა გინდ დიდხანს იცოცხლოს ქვეყანაზე და მისი უბედურებაც, მანამ გაგრძელდება, სანამ ამ პრინციპს არ განახორციელებს და სრულებით უარს ა ჰყოფს ძალმომრეობას, როგორც ცხოვრების საფუძველს.

როგორც ყოველთამიერს, იესოს პრინციპს საფუძველიც სამარადისო აქვს — ღმერთი, რომელიც არის ჭეშმარიტი საფუძველი ყოველი არსობისა უამისოთ ქრისტემ არ იცის არავითარი ცხოვრება და მისი ფორმები. ქრისტეს მოძღვრებით ქვეყნიერებას ერთი მიზანი აქვს — რომ სათნო ეყოს ღმერთს და მით მოემზადოს საუკეთესო ცხოვრებისათვის.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება)

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს *)

Отвлеченное начало равенства—ничто иное, **какъ** пустая фикція, которой назначеніе—обмануть общественную совесть..

Ламенэ.

Мы не пріидемъ къ свободѣ
Путемъ красивыхъ фразъ;
Всѣ рѣчи въ этомъ родѣ—
Молчите, сгубятъ расъ.

Мицкевичъ.

VI.

არსად, არა რომელიმე სახელმწიფოში ისეთი ძლიერი და სისტემატიური ბრძოლა არ ყოფილა წინააღმდეგ სარწმუნოებისა და სამღვდელოებისა, როგორც საფრანგეთში მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მიზეზი ასეთის ბრძოლისა იყო რომის პაპი და მისი სამღვდელოება; მათი გარყვნილი და უზნეობით აღსავსე ცხოვრება, განსაკუთრებით მეშვიდე საუკუნის შემდეგ, როგორი ცხოვრებაც სახელს უტეხდა რომის სამღვდელოებას, როგორც ქრისტიანულს, და გავლენას უსუსტებდა თვით ხალხში. მეშვიდე საუკუნიდგან ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგამდე პაპები არ ზოგავდნენ არავითარ საშვალებას, რათა აღემაღლებიათ თავის ავტორიტეტი საერო მბრძანებლებზე, ხელმწიფეებზე და დაემორჩილებიათ იგინი ვატიკანისათვის. ხანდახან საქმე იქნამდე მიდიოდა, რომ მეფე და პაპი შემდეგის შინაარსის წერილებს სწერდნენ ერთმანეთს: „გეშინოდეს ღმრთისა და იმარხვიდე მისთა მცნებათა. გვსურს რომ იცოდე შენ, რომ სასულიერო და ქვეყნიურ საქმეებში დამორჩილებულ ხარ ჩვენდამი... ხოლო სხვა ნაირად მოაზრეთა ჩვენ ვსთვლით მწვალებლებად," სწერს პაპი ბონიფაცი VIII 1301 წელს საფრანგეთის მეფეს, ფილიპე მშვენიერს, რომელიც პაპს ასე უპასუხებს: „დეე იცოდეს შენმა უმაღლესმა სიჩურჩუტემ, რომ ქვეყნიურს საქმეებში ჩვენ არ დამორჩილებულვართ არავისადმი... სხვანაირად მოაზრეთა ჩვენ ვსთვლით ჩურჩუტებად".

*) იხ. „შინ. საქ." № 16.

დამოკიდებულება პაპებსა და ხელმწიფეებს შორის თანდათან მწვავდებოდა. ხელმწიფეები თავისას არ სთმობდნენ, პაპები კი ინტერდიკტებით საქმეს უჭირებდნენ მეფეებს რადგანაც მორწმუნე ხალხი პაპებს უჭერდა მხარს.

გილდებრანდის ანუ გრიგოლ მეშვიდის შემდეგ, რომელმაც ჩამოართვა ხელმწიფეებს სიმონია და ინვესტიტურა, სასულიერო და საერო მბრძანებლებს შორის განხეთქილება აშკარა შეიქმნა, ომსაც კი უცხადებდნენ ერთი მეორეს და არც ერთი მხარე მოპირდაპირის დასამარცხებლად არ ზოგავდა არავითარ საშვალებას, რაც უნდა უზნეო ყოფილიყო მაინც. გრიგოლ მეშვიდემ, ნიშნად სასჯელისა, სამ დღეს გააჩერა ფეხზე ჰენრიხ IV მონანულის ტანისამოსში... როდესაც ფული შემოაკლდათ პაპებს, ინდულგენციები მოიგონეს, რომ ამ ინდულგენციების საშვალებით მოეპოებიათ წყარო მდიდრულად, კომფორტით ცხოვრებისა. ორივე მხარე როგორც სასულიერო ისე საერო ზნეობრივად დაეცა საუკუნეთა განმავლობაში და ხალხი კი ითელებოდა; ხალხს მოსწყინდა მათი ინტრიგები და ომიანობა ერთი მეორესთან, ასეთმა ინტრიგებმა და ზნეობრივად დაცემულებამ წარმოშვა რეფორმაცია.

მაგრამ რეფორმაცია დაიწყო იმ ქვეყნებში, სადაც პაპის გავლენა უფრო სუსტი იყო. ჯონ ვიკლეფი ინგლისში, იოანე გუსი ბოჰემიაში, იერონიმე სავანაროლა ფლორენციაში და შემდეგ მარტინ ლიუტერი გერმანიაში თამამად და გაბედულად მოქმედებდნენ რეფორმაციის საქმეში, რადგანაც ამათ აღნიშნულს ქვეყნებში ხალხიც მიემხრო და მეფეებიც მფარველობას უწევდნენ. ამ რეფორმატორების მოქმედებით შესუსტდა დამოკიდებულობა მეფეების და პაპების შორის; ინტრიგებს და ომებს საფუძველი გამოეცალა და მაშასადამე ხალხიც დამშვიდდა, ხალხმა მოიფონა მშვიდობიანის ცხოვრებით; ხალხმა ჰპოვა სულის სიმშვიდე კათოლიკეთა სამღვდელოების უზნეობის მხილებით და რეფორმატორების მიერ, თუმცა ცალმხრივ, მაგრამ შედარებით უფრო ნამდვილ ქრისტიანულ მაღალ ზნეობის ქადაგებით. ხოლო ეს საფრანგეთში, როგორც ნამდვილ კათოლიკეთა ქვეყანაში, სადაც გავლენა რომის პაპისა და მისის სამღვდელოებისა იყო ასეთი იმ სიმაღლემდე, რომ მისი და-

ლეკვ შეუძლებელი იყო, კერა რომელიმე რეფორმატორი ნიადაგს კერ ჭპოებდა და ამნაირად სალხი დარჩა ისევ ძველ წყობილებაში; იტანჯებოდა სხვა და სხვა ორდენების უზნეობით და ძალმომრეობით და ჩვენის აზრით ეს იყო იმის მიზეზი რომ საფრანგეთის ენციკლოპედისტებმა და მიელმა ერმა გაბედული იერიში მიიტანეს ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე; სისტემატიურად დაუწყეს დევნა ორივეს. ვოლტერი და, ჟიანენ, დიდროც იეზუიტების სკოლაში სწავლობდნენ, როგორც მომავალნი მღვდელნი და ძალიერ ნიჭიერადაც. მხოლოდ როდესაც, შემდეგ, როგორც უნიჭიერესმა ადამიანებმა, შეიგნეს იეზუიტების გაიძვერობა და ზნეობრივად დაცემულობა უარჭყვეს თავისი მოწოდება და აშკარად გაიღაშქრეს წინააღმდეგ ეკლესიისა და სამღვდელოებისა. მაგრამ ისინი შესცდენ თავის მოსაზრებაში; მათ უნდოდათ ხალხი ათვის ეშველნათ, სალხი აღემაღლებინათ, მაგრამ უწმენოების ქადაგებით სალხი დასცეს ზნეობრივად. საჭირო იყო არა უწმენოების ქადაგება და ზიზღი სამღვდელოებისა და ეკლესიისადმი, არამედ ზნეობრივი დეზინფექცია სასულიერო წოდებისა, რესტავრაცია ეკლესიისა, რასაც შემდეგში ჭქადაგებდნენ დიდებულნი: შატობრიანი, ლამენე, ვიკტორ ჭიუგო და სხვანი. თანამედროვე გარემოებით აღშფოთებულნი უწმენოებას ჭქადაგებდნენ ენციკლოპედისტები, მაგრამ ნაბერწკალი საწმენოებისა მანიც იყო იმათში; ვოლტერი სომ ქრისტიანულად გარდაიცვალა?! — დიახ სამღვდელოების ზნეობრივი დეზინფექცია იყო საჭირო და არა უწმენოების ქადაგება. პატრონმა ცხენს კერაფერი დაკლო და უნაგირი დამტვრიო, სწორეთ ასე მოხდა საფრანგეთში.

VII.

ᲨᲭᲐᲓᲐᲒᲔᲑᲔᲚᲜᲘ სამღვდელოების ზნეობრივი დეზინფექციისა და ეკლესიის რესტავრაციისა მოჭყვნენ საფრანგეთის ენციკლოპედისტებს; ერთი რომ უწმენოებას და სამღვდელოების უარყოფას ჭქადაგებდა, მეორე წინააღმდეგს ამბობდა. — საწმენოება, ეკლესია და სამღვდელოება აუცილებელი საჭიროა ადამიანისათვის, უამისოთ კაცის ცხოვრება დაფანტულია, უნუგეშო და უმიზნო; მაშასადამე აუცილებელი საჭიროა ნაკლულევანებანი გასწორდეს, შალაშინი მოხდეს სამღვდელოების მიერ ჩადენილ ზნეობის წინააღმდეგ ეორსლებს რომ ქრისტიანული სწავლა და ეკლესია თავისის შუქით ნათელს ჭფენდეს კაცობრიობაზე; ჩვენ უნდა გებრძოლოთ ამ შუქის დამაბნელებელს მიზეზებს მანამდე სანამ სამღვდელოება და ეკლესია თავის ჟვარით მანათობელ ვარსკვლავად არ გადაიქცევა ხალხისათვისო; სოლო ურწმუნოების ქადაგება და სამღვდელოების უარეოფა რაც არ დაამდაბლებს და გარეგნის კაცობრიობას, ვერაფერს სარგებლობას მოუტანსო. ასეთები იყვნენ შატობრიანი, ლამენე, რუსსო, ვიკტორ ჭიუგო და სხვანი.

„ᲣᲦᲛᲠᲗᲝᲑᲐᲡᲐ, ამბობს შატობრიანი, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ბირიქით იგი არის მიზეზი მრავალთა სულიერთა ტანჯვათა... ქრისტიანობა არის სრული, ადამიანები კი არა ვართ სრული. მაგრამ შეუძლებელია სრული წარმოსდგეს არა სრულისაგან; მაშასადამე ქრისტიანობა არ მომდინარეობს ადამიანთაგან. და თუ იგი წარმოსდგა ღმრთისაგან კაცობრიობას შეეძლო მისი მიღება მხოლოდ განცხადებით (черезъ откровеніе.) მაშასადამე ქრისტიანობა არის განცხადებული (откровенная) სარწმენოება... ეკლესიას წაეცხო ჩიქა, განაგრძობს შატობრიანი, მისის წარმომადგენელების მდიდარი და განცხრომილი ცხოვრებით და დაავიწყდა თავისი დანიშნულება, მაგრამ როგორც კი იგი ადგებს თავის ეკვარს მაშინვე გამართლდება“... *)

„ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ სრულიადაც არ უნდა ეშინოდესო, ამბობს ლამენე, განვლენ საუკუნენი, მოისპობა დრო და ჟამი, ეკლესია კი დარჩება. ბედაწერანი ეკლესიისა, დაუბრკოლებლად მართულნი ყოველად შემძლებელის მიერ, მიუსედავთ ხალხისა, მისის მძულვარებისა, სისასტიკისა და დევნისა მისდამი, აღსრულდებიან, ასე რომ თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანი კერ დაამარცხებენ მას“... „უკეთუ ღმრთისა სურს, ამბობდა ლამენე 1826 წელს რომ ჭეუნ განასლდეს და აღორძინდეს, სალხები შემდეგ ესოდენთა სასტიკთა უწესობათა, ამბოხებათა და ტანჯვათა, როგორიც არ ასოგს ჯერ კაცობრიობას, — მიაბეურობენ თავლებს ზეცისადმი და შეეეკდრებიან მას შველისათვის... და უკეთუ ჭეეუნა განწირებულ არს წარწყმედისა და დაღუპვისათვის

*) Ю. Шмидтъ. Исторія французской литературы т I, стр. 211, 212 и 213.

ეკლესია მაინც დარჩება მრთელად და დაუსაბამოისადმი გალობითა და ღაღადებით ადიდებს იქ, სადაც განმზადებულ არს მისთვის ადგილი... მოახლებულ არს ჟამი, ოდესაც ეტყვიან ბნელში მავალთა: მიხედეთ ნათელს; იგინი აღსდგებიან და მიაპყრობენ თვალებს ამ ღვთაებრივს ნათელს, განცვიფრებითა და სინანულით დაერთხმიან პირქვე და სიხარულით შეეგებებიან მას, რომელიც განაჩინებს ყოველივე წესიერებას, განაცხადებს ჭეშმარიტებას და დაამშვიდებს ყოველი კაცის გულს“...**)

და მართლაც ლამენეს სიტყვები წინასწარმეტყველებად გარდაიქცა. 15 იანვარს 1850 წელს თავის სიტყვაში „სწავლის თავისუფლებაზე“ შემდეგი ილაპარაკა ვიკტორ ჰიუგომ საფრანგეთის პარლამენტში: „...მე ძლიერ შორს ვარ რელიგიურ სწავლის განდევნის აზრზე. იგი ჩემის რწმენით ახლა უფრო აუცილებელია ვინემ ოდესმე. რაც უფრო კაცი მეტად იზრდება მით უფრო მეტად უნდა სწამდეს მას.

„ჩვენს დროს აქვს ერთი უბედური ნაკლულოვანება, სახელდობრ ისა, რომ ყოველივეს აკუთნებენ და მიაწერენ ქვეყნიურ ცხოვრებას.

„როდესაც კაცის ცხოვრების მიზნათ და დასასრულად სახავენ ქვეყნიურს და მატერიალურს ცხოვრებას, ამით იგინი ამრავლებენ ყოველივე უბედურებას, მით რომ მიზნად ცხოვრებისა დასახულია არარაობა.

„მე უშუალოდ ვეკუთვნი იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც გამოუთქმელის სიფაქიზით სურთ ნივთიერად გააუმჯობესონ ამ ცხოვრებაში ტანჯულთა მდგომარეობა; მაგრამ თავი და ბოლო ამ გაუმჯობესობისა გამოიხატება მხოლოდ იმედში.

„ჩვენ ყველას მოვალეობა: სჯულის მდებელთა, სულიერთა, მამათა, ეპისკოპოსთა და ლიტერატორთა გამოიხატება იმაში, რომ ყოველივე ჩვენი ძალა და სოციალური ენერგია მოვიხმაროთ იმაზე, რომ ვებრძოლოთ სიღატაკეს და მოვსპოთ იგი, და იმავე დროს ყველას თავები აღვამაღლოთ ზეციისადმი, ყველას სული, ყველას გონება მივაპყროთ მეორე ცხოვრებისადმი, სადაც ყველას მიეგება სამართლისამებრ. უტყვი ხმა მაღლა, არავის არ ექნება უფლება სთქვას, რომ მან იტანჯა უსამართლოდ და უსარგებლოდ. სიკვდილი არის აღდგინება (возстановленіе). ნუ დაგვავიწყდება და ვასწავლოთ ყველას რომ ცხოვრება არაფრად არ ეღირებოდა, რომ ჩვენ სრულიად ვისპობოდეთ. მაგრამ რაც რომ ამსუბუქებს ჩვენს შრომას, ხდის ადამიანს ძლიერად, ბრძნად, მომთმენად, სამართლიანად, ღირსეულ ინტელიგენტად, თავისუფლების ღირსად — ყოველივე ეს გვექნება მაშინ, როდესაც წარმოვიდგენთ უკეთესს, ქვეყნიურ ცხოვრების ბნელეთის იქეთ ბრწყინვალე მსოფლიოს.

„რაც შემეხება მე, ვინაიდგან შემთხვევამ მოიტანა რომ ვილაპარაკო, დღეს ნება მებოძოს თქვენგან ხმა მაღლად და განცხადებულად ვსთქვა ამ ტრიბუნის სიმაღლიდან, რომ მე ღრმად მრწამს მომავალი საუკეთესო მსოფლიო; იგი ჩემთვის უფრო მეტი სინამდვილეა ვინემ ეს საბრალო ქიმერა, რომელსაც ჩვენ ჩავსთქავთ ხოლმე და რომელსაც ვუწოდებთ ცხოვრებად. იგი მუდამ ჩემ თვალწინ არის მე მრწამს იგი ჩემი რწმენის ყოველივე ძალებით და შემდეგ მრავალთა შრომათა, შესწავლისა და გამოცდილებისა, იგი განისვენებს ჩემი გონების მაღალ რწმენაზე და არის უდიდესი ნუგეში ჩემი სულისა.

„ამისათვის მე მსურს, გულწრფელად, სულითა და გულით მსურს რელიგიურად აღზრდა ხალხისა, მაგრამ მე მსურს ეკლესიურ-რელიგიური აღზრდა და არა პარტიული. მე მსურს რომ ასეთი აღზრდა იყოს გულწრფელი და არა ცბიერი, მე მსურს რომ ასეთ სწავლას მიზნად ზეცა ჰქონდეს დასახული და არა ქვეყანა“.

და ეს სიტყვები დიდებული ორატორისა იმოდენად პატივსაცემია და ღირსი ყურადღებისა რამოდენადაც იგი იყო მამხილებელი საფრანგეთის სამღვდელოებისა. არა რომელიმე მწერალს და მოღვაწეს, არც ატეისტებს, ისე რიხიანად არ გაულაშქრნია სამღვდელოებაზე, როგორც ვიქტორ ჰიუგოს; იგი იყო ნამდვილი, მის ენის ძლიერებას რომ ეკადრება, ისეთი დამახასიათებელი კათოლიკეთა სამღვდელოების ცხოვრებისა; მისი სიტყვა და პირდაპირობა ტყვიაზე უფრო ძლიერი იყო, მაგრამ ამით, როგორც სჩანს მისის მოქმედებოდ-

**) Ю. Шмидтъ Исторія французской литературы т. I стр. 237.

გან და ცხოვრებიდგან, უნდოდა გასწორება გამრუდებულისა, განასხლება, გაბრწყინვება ჩირქწაცხებულისა და არა უარყოფა და მოსპობა ეკკლესიისა და სამღვდელოებისა.

ჩვენ პოლიტიკურ მოღვაწეებს რომ ამ ნიადაგზე დაეწყოთ მოქმედება სამღვდელოების შესახებ, მაშინ არავინ არაფერს არ იტყოდა, პირიქით, დარწმუნებული ვარ, თვით განათლებული და გონიერი სამღვდელონიც ბანს მისცემდნენ და დაეხმარებოდნენ.

ივერიელი.

ქართველ ქალთა საყურადღებოდ.

(ვუძღვნი ევ—ნას)

(შემდეგი)

II.

ამ კითხვებს ჩვენ ვაძლევთ ქალთა ინტელლეგენციას, განურჩევლად წოდებისა, რომლებსაც მიუღიათ განათლება სასწავლებლის კედლებში ან და შინაური, და კერძოდ თავად აზნაურთა მანდილოსნებს.

სჯა-ბაასს ქალთა ახლანდელს მდგომარეობაზედ, ჩემის ფიქრით, იწვევს თვითონ პრაქტიკული ცხოვრება, რომელიც შეუჩერებიათ და მედგრად თხოულობს მანდილოსნებისაგან აქტიურ მოძრაობას, დაუღალავს მოქმედებას ვაჟებთან ერთად ისე, როგორც ეს საჭირო არის ასაცდენელად ელვის სისწრაფით მომფრინავ უბედურებისა.

სანამდისინაც ამ საგანზედ სჯა-ბაასს დავიწყებდეთ, მივცეთ მკითხველო მანდილოსანო, ერთმანეთს სიტყვა აუღელვებლად, მით უფრო გულმოუსვლელად მოუსმინოთ ერთმანეთს ერთი მეორის აზრი,—ეს ერთი; მეორე: ვიქონიოთ მოთმინება და პატივი ვცეთ ერთმანეთის რწმენას ისე, როგორც გონიერი მეომარი პატივისცემით ეპყრობა თავისს ტყვეს—მტერს; მესამე—თუ ჩემი აზრი გამოდგება ფანტაზიად და წინააღმდეგი იქნება ახლანდელ რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებისა, დამიმტკიცეთ ეს და სიამოვნებით დაგემორჩილებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ამხანაგურად და მჭიდრო ნაბიჯით, შეერთებულის ძალ-ღონით გავსწიოთ წინ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ამას გვავალებს მსაჯულთა მსაჯული—ჩვენი სინიდისი. დარწმუნებული, რომ ჩვენ შევასრულებთ ზემოხსენებულ პირობებს, მე, წინააღმდეგ ჩვენი ყოვლად აუტანელი საზიზღარ ტრადიციონულ ჩვეულებისა: პირის-პირ ერთმანეთის ქებისა და ზურგს უკან სამარის თხრისა, პირდაპირ მოგახსენებთ იმას, რასაც უმრავლესობა ჰფიქრობს ჩვენს თანამედროვე უმრავლეს განათლებულ მანდილოსნებზედ (მათ რიცხვში მეც გახლავარ) და რასაც თქვენ პირდაპირ ვერ გკადრებენ სხვა და სხვა მიზეზით.

მგონი, არავითარს კრიტიკას არ გამოიწვევს ის აზრი, რომ ჩვენი სოფელი, თავის მრეწველობით, არის მშობელი დედა ჩვენის დაბა-ქალაქებისა, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ მთელი სოფლის ზნეობა არის სოფლის შემადგენელ ცალცალკე ოჯახების ზნეობისა; ოჯახის ზნეობა, მისი განვითარება, ბედი და უბედურება დამყარებულია იმაზედ, თუ რა ხარისხამდისაა ასრული ეს ჩამოთვლილი ღირსებები ქალში, როგორც ოჯახის საძირკველში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს ღირსებები, შედარებით, უმაღლეს წერტილამდის სრული უნდა იყოს იმ ოჯახში, რომლის დიასახლისი შეიარაღებულია სწავლა-განათლებით, ან და იქ, სადაც თუმცა-ღა დიასახლისს არავითარი განათლება არ მიუღია სასწავლებელში, მაგრამ ბუნებით ნიჭიერია, განვითარებული, რომელსაც არა ნაკლებ კურს დამთავრებულთა ესმის გემო სწავლა-განათლებისა და სიმწარე სიბნელისა, როგორც უსწავლელობის შედეგისა. უთუოდ ყველანი, და მათ შორის მანდილოსნებიც დამეთანხმებიან იმ აზრზედ, რომ თითოეულ განათლებულ, საზოგადოდ და კერძოდ ქართველი, როგორც შვილი ყოველნაირ ჩვენის და მხოლოდ ჩვენის დაუდევრობის მიზეზით დახრწნაზედ მიმდგარ საქართველოის ზნეობრივ ვალდებულია მიიღოს საშვალებისდაგვარად ყოველნაირი ზომა, გაუნაწილოს თავის სამშობლოს, თუნდაც რამოდენიმე ნაწილი იმ სხივებისა, რომლებშიდაც

ის სცურავს დღეს, როგორც ნასწავლი და განათლებული. თუ ეს ასე არის, თუ რომ ზემოხსენებულიც ჭეშმარიტებაა, უპირველესად ყოველისა ჩვენი მანდილოსანიც ვალდებულია აღიჭურვოს სურვილით მოუტანოს ჯერ თავის ოჯახს და შემდეგ თავის მხარეს შესაძლებელი სარგებლობა. ფაქტიურად ეს ასე არის თუ არა დღეს? გარდა რამოდენიმე ერთობ პატარა შემთხვევებისა არა და არა. უმრავლესი ღრმად პატივსაცემი მშობლები უარს ჰყოფენ მიუცილებელ საჭიროებას, ტყავს იძრობენ და ქალიშვილებს განათლებას აძლევენ სასწავლებლებში. ეს ბედნიერები უზრუნველ მდგომარეობაში ამთავრებენ კურსს და მიისწრაფებიან პრაკტიკულ ცხოვრებისკენ, სადაც ისინი მოელოდებიან ყველასაგან ალერსს, სიყვარულს, პატივისცემას, სადაც ისინი ფიქრობენ ხელებ გაუნძრევლად მოიპოვონ მიწიერი სამოთხე და აი ამ დროს პრაკტიკული ცხოვრება იჩენს თავის ძალას: ის ამ ბედნიერთა განათლებულ წრეს ჰყოფს ორ ჯგუფად: ერთი ჯგუფი, შიგნითურ ხმის ზედგავლენით გრძნობს, რომ ის დამოუკიდებელი არსებაა; თავ-მოყვარეობა ეჩურჩულება: „კმარა სხვისი ოფლით და ტანჯვით ცხოვრება, ახლა ვალდებული ხარ თავის შრომით იცხოვრო და ძნინიც იცხოვრო“, და აი ეს ხმები მას აგდებს პრაკტიკულ ცხოვრების ტალღებში, ეს უთანასწორო კონკურენციას უწევს ვაჟებს სამსახურში და ჰპოულობს სამსახურს სასწავლებლებში, კანტორებში, სხვა და სხვა საწერ მანქანებზედ და ამით ის ნება უნებურად შორდება რეალურს ცხოვრებას, სოფელს და მთელს სიყმაწვილეს ჰლევს შეხუთულ მტვერიან ქალაქებში ან სასწავლებლის ოთხ კედელ შუა ბავშებთან სულ ერთ და იგივეს ჩიჩინში. ცხოვრება და გაჭირვება მათ ნება უნებურად იზიდავს შინაურ მუშაობაში და ჰქმნის მისგან სრულებით დამოუკიდებელ ინდივიდუუმს. ეს ჯგუფი აძლევს უმრავლეს პროცენტს ქალთა საზოგადო მოღვაწეებისას.

რასა იქმს მეორე მრავალრიცხოვანი ჯგუფი? ეს შესახედავათ ბედნიერი ჯგუფი აგრძელებს მხიარულს და უზრუნველს ცხოვრებას: ის ემონება საზოგადო ცრუ და უნაყოფო, შეცდომით უსაქმურთა გაჩენილ ეტიკეტებს: ის მშობლებს „გამოყავს“ საზოგადოებაში და რადგანაც ამ საზოგადოებას ვერ ეჩვენება „ახირებულად“ ეს ბედნიერი ჯგუფი, თვალს ადევნებს „ახალს მოდებს“, „მოდით“ იმოსება: ათ მანეთიან კაბის შეკერვაში აძლევს ორ თუმანს და მეტს, იცვლის შლიაპების „ფასონებს“ „სეზონის“ შესაფერად, სხვა და სხვა ფერ აბრეშუმის შრიალა იუბკებს, „მოდის“ ათ-თუთხმეტ მანეთიან ფეხთ საცმელს; ცეკვა-სიმღერა, „კუროორტები“, შვა დღეზედ ადგომა და გათენებულზედ დაწოლა ამშვენებს და ამთავრებს მათ ჩვეულებრივ დღითი დღე ცხოვრებას. ადრე თუ გვიან (რასაკვირველია უფრო ადრე) უმეტესი მწევრი ამ უზრუნველთა ჯგუფისა ჰპოულობს გულით მეგობრებს— „ჟენიხებს“ და შემდეგ რამოდენიმე დღის ან თვის ოხვრისა და კვნესისა, შემდეგ ცოტაოდენ რომანებისა და პოეტიურ წამებისა, ორი არსება უერთდება ერთმანეთს ეკკლესიით და სიყვარულით. განვაგრძოთ ახლა მათზედ დაკვირვება: ამ ჯგუფის ერთი წილი ბედს ჰპოულობს სამსახურში მყოფ მეგობარში, მეორე წილი სოფლის მცხოვრებში „მემამულეში“.—ვალდებულება ამ პირებისა სხვა და სხვანაირია: სოფლის მცხოვრები, მოგეხსენებათ, მეურნეობაშია გართული: ყანებს ან თვითონ ამუშავებს, ან სხვას აძლევს სამუშაოდ, თვითონ ოჯახში კი მრავალნაირი საქმეა: ბოსტანი, ბაღ-ვენახი, წვრილფეხის მოვლა-მოშენება და სხვა და სხვა. ქალაქში მოსამსახურე კაცი ამას აცილებულია, თუ სოფელში მამული არა აქვს და დიასახლისს ჰბარდება მოსამსახურის ჯამაგირი, სახლ-კარი და მიუცილებელი საჭირო მსახურნი.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება).

მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.*)

2) შესანიშნავ ბუნების მეტყველს ლინნეის**) სწამდა ორობი (двойникъ) და ერთ შემთხვევაში თითონ გადმოგვცემს თავის ორობზე. „ჩემი ოთახები, ამბობს იგი, საერთო ზალის აქეთ იყო გაწყობილი, ხოლო ცოლის—იქით. ერთხელ მან, სხვა რამოდენიმე დამსწრეებთან, გაიგონა, როგორ გავიარე ზალა, გავაღე კაბინეტი, შევედი შიგ, გამოვედი ისევ და დავკეტე კარი; ის ფიქრობდა, რომ მე კაბინეტში ჯოხი და ქუდი დავტოვე და ეხლავე შევალ მასთან; მაგრამ მოსტყუვდა. მაშინ მან უთხრა დამსწრეებს: „ნახეთ, თუ ჩემი ქმარი ახლავე არ მოვიდესო.“ რაც რამოდენიმე ხნის შემდეგ მართლა შესრულდა. მას ჩემი დაბრუნების წინ არა ერთხელ ჰქონია ხოლმე ასეთი შემთხვევა, მაშინაც კი როცა სტოკგოლმიდგან ვბრუნდებოდი ხოლმე.“

3) გიოტე ამბობს: „მოყვარულთა შორის ეს მაგნეტიური ძალა ხშირად დიდ მანძილზე მოქმედებს: ყმაწვილობაში მარტო სეირნობის დროს ხშირად მომსურვებია ხოლმე, რომ ჩემი საყვარელი არსება შემყოდა, და ისე ხანგრძლივ და ძალდატანებით მიფიქრია მაზე, რომ, ბოლოს, იგი მოსულა ჩემთან და უთქვამს: „რაღაც აუტანელი ნაღველი შემომაწვა, სახლში ველარ გავძელი! ველარაფრით გავერთე და მოვედი აქო. ერთი ასეთი შემთხვევა ძრიელ დაწვრილებით აქვს მას აწერილი და დიდი ყურადღების ღირსიც არის (Экерманъ—разговоры съ Гете, III 137—139.)

4) ფილოსოფოსი ემმანუილ კანტი. „არ ვფიცავ, რომ მე მაქვს მიდრეკილება ვირწმუნო არსებობა არა ნივთიერ არსებათა და ჩემი სულიც მათ შორის ჩავრიცხო.

„ჩვენ შეგვიძლია, გამტყუნების რომ არ შეგვეშინდეს ისე, წარმოვიდგინოთ არა ნივთიერ არსებათა არსებობა, მაგრამ მისი გონებით დამტკიცების იმედი კი არ უნდა გვქონდეს. ასეთ სულიერ არსებათა არსებობა სივრცეში არ უშლის ამ სივრცის დასახლებას ნივთიერ არსებათაგან, რადგანაც ამათი აქ ყოფნა, როგორც მოქმედ ძალებისა, არ იკავებს ადგილს, როგორც მაგ. რომელიმე ნივთიერი საგანი, ე. ი. არ წარმოადგენს წინააღმდეგობას, რომელიც ეკუთვნის მაგარ საგნებს.

„ძნელი არ იქნება ამის დამტკიცება, თუ ღრმად ჩავიხედავთ საკითხში, მაგრამ უკეთ რომ ვსთქვათ: ეს დამტკიცდება მომავალში—სად და როდის, მე არ ვიცი,—დამტკიცდება, რომ ქვეყნიურ ცხოვრების დროს ადამიანის სული განუწყვეტელ ერთობაში იმყოფება სულიერ ქვეყნის არა ნივთიერ არსებებთან, აქვს მათზე გავლენა და სამაგიეროთ მათგანაც ღებულობს შთაბეჭდილებას, თუმცა ეს შეუგნებლად ხდება მანამ, სანამ ამ ქვეყანაში ყოლიფერი ნორმალურ მდგომარეობაშია.“

5) ფილოსოფოს-პესსიმისტი არტურ შოპენგაუერი.—„ასეთ მოვლენათა (სპირიტიულ) უარყოფა და მათი საცინლად აგდება, ვისაც იგინი სწამს სხვაზე არაფერზეა დამყარებული, გარდა იმ რწმენისა, რომ სიკვდილი არის სრული (აბსოლიუტური) მოსპობა არსებობისა. მაგრამ რადგანაც ასეთი რწმენა უსაფუძვლოა და შეუძლებელიც, ამიტომ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, რომ ერთმა არსებამ, რომელიც კიდევ სადღაც იმყოფება, გავლენა იქონიოს მეორეზე, რომელიც განსხვავებულ მდგომარეობაშია.

6) ნ. ბ. გილიაროვ პლატნოვი. სპირიტიზმის ძალა მდგომარეობს იმ დებულებაში, რომ ამა და იმ ქვეყნებ შორის სუფევს ერთობა, დამოკიდებულება. ეს დებულება საფუძველია, დანარჩენი განმარტებაა და შეუთანხმებელობა. ალლანკარდეკი, ოუენი, ვაგნერი, ყველა თავის თეორიებს თხზავს. მეც მაქვს, ვთქვათ, ჩემი მოფიქრება ამ საგანზე, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, მით უფრო თანახმა არა ვარ კარდეკისა. საქმე იმაშია არის თუ არა უწყება—(ამბის გადაცემ-გადმოცემა). აურაცხელი უეჭველი სპირიტიული ფაქტები

*) იხ. „შინ. საქმეები“ № 14.

**) ეს მაგალითები ამოღებულია უფ. კარიშევის წიგნიდგან: Основы истинной науки. Изд. 2 кн 2 стр. 16.

რას ნიშნავენ, მიცვალებულთა ნამდვილ გამოცხადებას თუ ჩვენს ჩვენებად ქცეულ წარმოდგენას? მე ასე ვაყენებ საკითხს და, უნდა გამოვტყდე, ვერ ვსწყვეტ მას. განსვენებულმა ვ. ი. დალმა მიიღო „ზეგანცხადება“ (ასე ვუწოდოთ) მიცვალებულ ვიშესლავცევისაგან (მისგან პირველად გაგონილი გვარი), რომელშიც უკანასკნელი სთხოვდა, ამა და ამ კაცს ამა და ამ სოფელში (დალმა არც ერთი არ იცოდა) სანუგეშო ბარათი მისწერეო; დალმა მისწერა ბარათი იმ პირს, რომელსაც ვერ იცნობდა და იმ სოფელში, რომელიც არ იცოდა. მისწერა და მიიღო პასუხი. აი ერთი იმ მრავალ ფაქტთაგანი, რომლებიც ძე თითონ ვიცი. ფაქტი ფაქტად დარჩეს და განმარტება, როგორიც გინდათ, ისეთი მიეცით.

ა. რ. უ ე ლ ლ ე ს ი., რომლის მეცნიერული მოღვაწეობა ეთანასწორება დარვინისას, თავის სტატიაში: „თანამედროვე სპირიტიზმის დაცვისათვის“ (გვ. 63—65) ამბობს:

„უმეტესი ნაწილი ოფიციალურ მსწავლულებისა უარს ამბობენ ამ მოვლენათა კვლევაძიებაზე, როცა მათ მოიწოდებენ ხოლმე ამისთვის. საზოგადოება, რომლის წევრადაც ითვლება ეს მსწავლული, უარს ამბობს მის გამომკვლევის ოქმში ჩაწერაზედაც კი, ხოლო პრესსა ყვირის, უკეთესი მოწმეა საჭირო, ვიდრე უ. კრუკსი, და რომ ამ გვარი ფაქტები, სანამ მათი ნდობა შესაძლებელი მოხდებოდეს, საჭიროებენ ახალს საბუთებსო. მაგრამ რაღა საჭიროა მეტი დამამტკიცებელი საბუთები? მის შემდეგ, რაც მთელი რიგი ასეთ მოვლენათა გამოკვლეულ იქმნა ათი წლის განმავლობაში და მათ სინამდვილეში დარწმუნდა ათასი ურწმუნოები, საღი მოაზროვნე და ჭკუა მახვილი ამერიკელები საზოგადოების ყოველი კლასისა,—იგინი დაამოწმა ამერიკის პირველმა ქიმიკოსმა—პროფესორმა რობერტ გერმა. ორი წლის შემდეგ იგინი დაამოწმა წლვილმან და შედგარ გამოძიებით ერთმა უწარჩინებულესმა ამერიკის იურისტმა—მსაჯულმა ედმონდსმა; შემდეგ კიდევ მეორე ქიმიკოსმა, პროფესორმა მეპსმა. საფრანგეთში ამ მოვლენათა სინამდვილე დაამოწმა გრაფმა დე-გასპარენმა 1856 წ., ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, ვარსკვლავთმრიცხველმა კამილ ფლამარიონმა, რამოდენიმე მატემატიკოსმა და ქიმიკოსმა, რომელთაც არა უკანასკნელი ადგილი უჭირავთ მსწავლულთა შორის. აგრეთვე ეენევის უნივერსიტეტის პროფესორმა ტიურმა დაამოწმა იგინი 1855 წ. ჩვენ ინგლისში ამ მოვლენათა სინამდვილე დაამოწმეს თავის მხრით ასეთმა წარჩინებულმა მეცნიერებმა, როგორიც არიან: პროფესორი დე-მორგანი, დოქტორი საექიმო მეცნიერებისა ლ. რობერტსონი, მწერალი—ა. ტროლლოპი, დოქტორი უფლებათა კოკსი, ფიზიკი, ტრანსატლანტიურ ტელეგრაფის ელექტრონის იარაღების გამგე, ს. ფ. ვარლეი და მთელი კომიტეტი დიალექტიურ საზოგადოებისა; ბოლოს, ცნობილი ქიმიკოსი, კოროლის საზოგადოების წევრი, კრუკსი იკვლევს ამ მოვლენებს ოთხი წლის განმავლობაში ორი შესანიშნავი და უძლიერესი მედიუმის შემწეობით და თავის მხრით რწმუნდება სპირიტიულ მოვლენათა სინამდვილეში, რაზედაც წერილობით მოწმობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მთელი რიგი უფლების მექონე მკვლევართა ღებულობს სპირიტიულ მოვლენათა სინამდვილის დამოწმებას ფოტოგრაფიის შემწეობით, რომელიც (ფოტოგრაფია) არ მოსტყუვდება, რომელსაც არ შეუძლია წინაგანძრახვით მოქმედება, რომელსაც სუბიექტური შთაბეჭდილებანი ვერ შეიყვანენ შეცდომაში, რომელიც აღნიშნავს მხოლოდ მას, რაც ნამდვილად ხდება ხოლმე. და რას უპირდაპირებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი მთელ ამ მიუდგომელ და მოუსყიდველ მოწმობათა რიგს? იგინი უთავბოლოდ და უადგილოდ იქვიანობენ და ერთი ნამდვილი შემთხვევაც არ მოჰყავთ თავის აზრის გასამართლებლად.

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება.)

რა აკლია ქუთაისს.

ამას წინეთ (იხ. „შინ. საქ.“ № 3) ჩვენ ვსწერდით, ქუთაისს წყალი არ აქვსთქო და ვსთხოვდით ვისიც ჯერ იყო მიექცია ყურადღება ამ ფრიად სამწუხარო მოვლენისათვის, მაგრამ წერილ-წერად ჩაიარა და წყალი მაინც არა გვაქვს. გასაკვირვალია ჩვენი ქალაქის გამგეობის საქმე: სრულებით ყურადღებას არ აქცევს ქალაქის არსებით საჭიროებას და არც მაინცა-და-მაინც მეორე ხარისხოვან საქმეს დაგიდევს ეგრე რიგათ; ასე რომ ლამის არის, დავკარგოთ ნდობა ყოველ თვითმართველობის მიმართ და ნეტა რამედ ღირდეს ეხლანდელ დროში წყლის გამოყვანა: ათასი სხვა და სხვა საზოგადოება მზად არის მოგეშველოს თავის კაპიტალით. მართალია დიდად შეღავათიან პირობებს კი ვერ ველირსებით, მაგრამ ამაზე უარესი რაღა მოგვივა, დღეს რომ გვემართება: ფულს ვიღებთ და ტალახს ვსვამთ; ფულს რომლის ნახევარიც კი, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება მცხოვრებთათვის, რომ წმინდა წყლით დაკმაყოფილდენ. დანარჩენი ნახევარი ხომ ქალაქს შეეძინება სხვა და სხვა გადასახადების სახით, ქალაქს, რომელსაც დღეს თითქმის არაფერი არ შემოუდის მკვიდრთაგან (ეკონომია?!).

მოქალაქენი ძალიან გულდაწყვეტილნი არიან, როგორც ხმოსნებზე, ისე მათ წინამძღოლებზე, მაგრამ რა ქნან, სად უჩივლონ, ვინ მიხედავს მათ უბადრუკ მდგომარეობას? ან კი რა პირით უნდა იჩივლონ? არ ეტყვიან, რატომ უკეთესი ხმოსნები და მოხელეები არ აირჩიეთო?

ჩვენის ფიქრით, ისევ ხვეწნა-მუდარა სჯობია მაგრამ ამანაც რომ ვერ გასჭრას და კიდეც აწყენინოს ქალაქის პატრონებს? მაშინ კი, აღარ ვიცი, რა სჯობია!.. ძველი ბატონების თავიდგან ბოლომდის დაცოცხვა და ახალის წამოყენება?... მაგრამ ვინ იქნება ის ახალი, რომელსაც გული ძველი არ ექნება და ზოლოდ სახით არ გეჩვენება ახლად. ვინ არის ის ახალი, რომელსაც დროის შესაფერი მოღვაწეობა სწყუროდეს და საკმაო ენერგიაც თან სდევდეს. ყველა რაღაც ცარიელ გუდასავით ვართ გაბერილი, სანამ საქმეს მივადგებოდეთ და როცა მივადგებით, ერთ წამს დავიფუქებით. აი თუნდ კერძო საქმეები აიღეთ მაგ. პურის ამხანაგობა, გამომცემელი ამხანაგობა, სამეურნეო ამხანაგობა სხვა და სხვა ნაირი, თუ გინდ სვირისაც, აგრეთვე ახლად დაარსებული საამხანაგო წიგნის მაღაზია, რომელიც ახლად გაბერილია, მაგრამ იმედია მალე დაიფუქება და მისი ავლა-დიდება „დედაენაზე“ და „რუსკოე სლოვოზე“ დადგება. აიღეთ კიდევ თუ გინდა ასეთი საქმე, როგორც გაზეთის გამოცემაა. სად არიან გაბერილი სოციალდემოკრატული გაზეთუშკები, სად არის საამხანაგო „შრომა“, „ფარი“ და სხვა. ვერც ერთ ცხოვრების დარგში უნარი ვერ გამოვიჩინეთ და აბა საიდგან უნდა ვიშოვნოთ ეს ახალი ძალები, რომ ძველს შევუნაცვლოთ. ჭეშმარიტად დიდ კრიზისს განვიცდით საზოგადო მოღვაწეებისას. მაგიერად გაბერილი გუდები ბევრი გვყავს, რომლებიც დღეს მზეზე სოფელს გაგიშენებენ (რა თქმა უნდა სიტყვით) და ხვალ ისე დაიფუქებიან ენერგიისაგან, რომ ერთ ქალალდის ნაგლეჯსაც ვერ გადაგიბრუნებენ. ჭეშმარიტად უნუგეშო მდგომარეობაში ვართ და ეს უნუგეშობა მით უფრო უნუგეშოა, რომ არ ვიცით სანამდის გაგრძელდება, როდის მოგვევლინება მხსნელი მესია, რომელიც წმინდა წყალს დაგვალევინებს და ამოგვიყვანს იმ წუმპედგან, რომელში ცურვას ცნობილი ცხოველიც იძაკილებდა.

ასეა თუ ისე სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილი და გვგონია, ჩვენი საქმე მისდღეში არ გამოსწორდება, ვერ ველირსებით ადამიანურ სიკეთეს, მუდამ წუმპეში ვიქნებით და მასვე ვსვამთ.

ცოტა იმედს კიდევ ის გვიდვიძებდა, რომ მალე, ბ. ლალიძის ელექტრონით გაბრწყინვებული, კისერს არ მოვიტეხდით ოღრო-ჩოღრო ქუჩებში; მაგრამ ამ იმედმაც გვიმტყუნა: ელექტრონის მოლოდინში, ი რაღაც წრიტინა ლამპები შემოიღეს, იმასაც თავი დაანებეს და დავრჩით სიბნელეში. ერთი სიტყვით აქაც დაიფუქა ენერგიის გუდა. მაგრამ ელექტრონის

ლინათლემ ჭირი მოგვამოსთ; პირობას დავდებთ ხუთი საათიდგან გარეთ არ გამოვიდეთ, ოღონდ ნუ დავიხრჩობით წყურულით.

ბოსლეველი.

ახლ-მახლ.

(გაგრძელება*)

მეომრებს სწამდათ ღმერთი და ხატი. ომის წინ მარხულობდენ, ლოცულობდენ, ღმერთს ავედრებდენ სამშობლოს, მის ხსნას თხოულობდენ; როს გამარჯვებული ბრუნდებოდენ, სწირავდენ ეკკლესიებს და მონასტრებს მამულ-დედულს და მთელ ნადავლს. ზოგი მოღლილ-მოქანცული მეომრები უარს ჰყოფდენ აუარებელ სიმდიდრეს, ყოველგვარ დიდებას, მიდიოდნენ მონასტრებში და მონაზნური სახით აგვირგვინებდენ თავის სიცოცხლის საღამოს... ჩვენი დღევანდელი მეომრები-კი მარქსის სახელით მიდიან ომში და იმავე მარქსის სახელით ომს უცხადებენ თავიანთ მამა-პაპათა სათაყვანო ეკკლესია-მონასტრებს. — ხშირათ თვით მარქსსაც ღალატობენ საკუთარი კუპისთვის, როგორც თვით მარქსმა უღალატა თავის მოძღვრებას: იყო პროლეტარების ინტერესების მოძღვარი და თვით ილრჩობოდა პროლეტარებთან ომში ნადავლ სიმდიდრე-დიდებაში... ძველი ქართველები, როცა სწავლას ათავებდენ, მას შემდეგაც ნამდვილი ქარლველებად რჩებოდენ: მამულს მსახურებდენ და სამშობლოს თავს ევლებოდენ. ახლა? — ახლა-კი ჩვენმა ახალგაზდებმა თუ უცხო ენებზე პურტყული ისწავლეს, ქართველობას ზედაც არ შეხედავენ, თითქმის ქართველობაც სასირცხვილოდ მიაჩნიათ და სწორედ ამაში მოინახება ჩვენი გადაგვარების მიზეზიც. ახლანდელ ჩვენ ნასწავლ ახალგაზდობას, რომ კარგად დააკვირდეთ, რაში გნებავთ არ შეატყოთ, რომ ისინი წარმოადგენენ „ხაოსს“, სხვა და სხვა ნაციის თვისებებიდგან შეზავებულს. როგორც პირადობაში, ისე მთელ მათ არსებაში საერთოდ ერთ და იმავე დროს გამოიხედება ქართველიც, რუსიც, ფრანგიც ნემეციც და ვინც გინდა სხვა. მალე ჩინელების ტიპსაც და აფრიკანების ტიპსაც შეხვდებით ჩვენ წამხედურა ახალგაზდობაში.

ჰოი ტანჯულო სამშობლოვ! რა შკილებისთვის გიწოვებია ძუძუ! რა შვილებს შეესწარ... ტყუილა იძახის შენი შვილები: „ჩვენი გადაგვარების მიზეზი სხვის ულელქვეშ ყოფნა არისო“. სამარცხვინო თავის მართლებაა ეგა! ქართველს თუ უნდა, ავსტრალიაშიაც შეუძლია შეინახოს ქართველობა და ქართული ზნე-ჩვეულება, თორემ რა უშლის საქართველოშივე ქართველი იყოს! მაგრამ ვისაც, როგორც „თვალი შორს, ისე გული შორს“ ეჭირავს ქართველობაზე, ის განურჩევლად ისხამს სამარცხვინოდ სხვის ქურქს, ის განზრახ ღებულობს მელამურას სახეს და ამ სახით არათუ ბინდისას, დღისით — მზისით გამოდის და ყოყოჩობს, მაგრამ, გვწამს, ეს მუდამ ასე არ იქნება...

დავუბრუნდეთ ისევ სოფლელის აზრს ჩვენ ნიჭიერებაზე, რაც საზოგადოდ ქართველებს არ ეკუთნის. მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობის მისწრაფებას ის შეადგენს, რომ რაიმე ხელობა — ახალგამოგონებით ისახელონ თავი, რაისათვისაც ისინი არავითარ შრომას არ ერიდებიან, ჩვენი ერის მისწრაფებას ის შეადგენს, რომ მისი ნიჭი მის არსებაშივე მოჰკლას, ან რაიმე უკულმართობაში გამოიჩინოს. ან რატომ არ უნდა იზრუნოს ამაზე, როდესაც ჩვენში პატივისცემასაც ამ უკანასკნელ მისწრაფების კაცები პოულობენ მაშინ, როდესაც განათლებულ ქვეყნებში, ასეთი მიმართულების კაცებს მხოლოდ ციხეებში ეძლევათ ბინა... სამწუხაროა, რომ ასეთი შეხედულობა გვქონდეს ქართველებზე, მაგრამ მართალი ხომ უთქმელათაც მართალია, „დაფარვას უფრო მეტი ვნება მოყვება, ვიდრე წყენა გამხილებასო,“ — ნათქვამია... აბა ერთი საინიმუშოდ მაინც შეეკითხოთ ჩვენს თავს: რა კეთილ საქმეში ვართ ჩვენ ნიჭიერნი? არასფერში. არავითარ ახალ გამოგონებას, არაფერ კულტურულ ნაწარმოებს ჩვენი საკუთარი დელი არ აზის, ამით თავს ვერ ვიქებთ. უკულმართობაში? მოგეცათ ღვთის ჩყალობა, ამაში ჩვენ ნიჭს ვიჩენდეთ, უფრო მის შემდეგ, რაც განმათავისუფლებელმა სიომ დაგვბერა! მაგ.

*) იხ. „შინ. საქ.“ № 17.

ჟურნალ-გაზეთები — სასულიერო პირთა დევნაში და ჩხირ-კედელობაში, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ხატების ქირდვაში, ექიმი უღმრთოებაში, ვექილი „ოტკაზში“ *) მოსამსახურეები „თავის გამოჩენაში“, შეკირდები ბიწიერება-უზნეობაში, დაბ-ლი ხალხი ქურდობა-ავაზაკობაში და სხ. და სხ.

უკულმართ საქმეში ჩვენ ვიჩენთ ნიჭს არა თუ კერძოდ, არამედ ისეთს მაღალ დაწესებულებაშიაც-კი, როგორიცაა სახელმწიფო სათათბირო. როდესაც, 26 მაისს, სათათბიროში ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, რომ მიეცათ 35000 მან. შემწეობა სამხატვრო-სამზრუნველოს საკრებულოსთვის, ერთი განრისხებული წევრთაგანი, რომელსაც 10—15 სხდომაზე კრინტიც არ დაუძრავს, შედის კათედრაზე და ორიოდე გაუთლელი, უნიადაგო სიტყვით ღალადებს: „რად ეჭირვება ჩვენი შემწეობა ხატებს? მართლ-მორწმუნენი ფიქრობენ, რომ ხატებში უნდა იმალებოდეს სასწაულთ მომქმედი ძალა და ეს თუ ასეა, ხატებმა თვითონ შეინახონ თავისი თავი, და თუ ეს მათ არ შეუძლიათ, მათი იმედიც საეჭვოაო“.

ვინ დახატა ეს ოქროს სიტყვები სათათბიროში? ნუ გგონიათ ვინმე სხვამ; აბა ვინ გაგვასწრებდა ჩვენ უკულმართობაში! ეს სთქვა ჩვენმა დეპუტატმა კ. ჩხეიძემ. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ტაშის ცემით მიგებებოდნენ ორატორს, ის საზოგადოდ მთელი ქართველების და კერძოდ მისი ალმრჩევლების სასირცხოდ გაჰკიცხეს უშვერი სიტყვებით: „Подлецъ, мерзавецъ, негодяй, богохульникъ, кавказская балда (Р. Чт. № 114.) და სხვა ამგვარი ლანძღვა-გინებით გააძევეს სათათბიროს 15 სხდომიდგან.

„ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია“, იტყვიან და სწორედ ეს ითქმის ბ. ჩხეიძეზედაც, იმ განსხვავებით, რომ ზოგი შვილი პირადად თავის დედ-მამის მაგინებელია და ბ. ჩხეიძე-კი ამ ბალღური აზრის გამოთქმით, მთელი სამშობლოსი.

„ვინ არის ჩხეიძე“?—კითხულობს გაზეთი და იმავე გაზეთ („Р. Чт.“ № 17) „Г. М.“-ის მოთხრობით, ასურათებს ჩვენს დეპუტატს ამნაირად: „დეპუტატ ჩხეიძეს დიდ-ძალი მასალები მოუტანია კავკასიიდან (ირონიით ამბობს გაზეთი), რომელსაც ის გამოაცხადებს სათათბიროში, როდესაც შეეებიან კავკასიის საკითხებს, მაგრამ ამაზე მეტ შთაბეჭდილებას მსმენელებზე ის მოახდენდა, რომ გვიამბობდეს: რა ნაირად მოხდა ის, რომ მას სამჯერ წაართვეს „ამხანაგებმა“ 1500 მან., როდესაც ის მსახურებდა ბათუმის საავადმყოფოს ზედამხედველად და გაქონდა უპრავიდგან საავადმყოფოს მოსამსახურეებისთვის ჯამაგირი, დარაჯების თანუახლებლად და საავადმყოფოს გვერდით სცარცვავდნენ შინაურულად ამხანაგებიო“.

„წარმოდგენილი გვყავს რაღაც დაუჯერებელი დეპუტატ-ეკსპროპრიატორიო“—დასძენს იგივე გაზეთი.

ვინ იტყვის, რომ დეპ. ჩხეიძეს სამშობლოშიაც არ ჰყავდეს მისი ასეთი შეხედულობის თანამგრძნობი, თუმცა საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ მის „ამხანაგებსაც“, სხვა მიზნით მაინც, სათაკილოდ არ მიაჩნდეს დარბაისელი დეპუტატის მხრით ასეთი ბოვშური აზრის წამოროშვა სათათბიროში. ბ. ჩხეიძეს ამ აზრის წამოყენება შემთხვევით, მით უმეტეს, შეცდომით არ მოსვლია, რადგანაც თავმჯდომარის შეკითხვაზე, მან მტკიცედ იგივე განიმეორა, რაც პირველად სთქვა, იმ დამატებით, რომ: „თუ ასე არ ფიქრობენ მართლ-მორწმუნენი, მე ბოდიშს მოვიხდიო.“ (!) (დამატებაც რომ ჩინებულია!)

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

*) ჩვენებურ დემოკრატ-ვექილის სამარცხვინო „ოტკაზის“ შესახებ, რომელსაც კლიენტის მკვლელობაც მოჰყვა, ფაქტს მაშინ მოვიყვანთ, როცა ამის შესახებ გათავდება სამსჯავრო პროცესი. მანამ-კი ამ დაფარულმა საქმემ დაფარულად ღრღნას ამ ვექილის სინიდისი, თუ ეს უკანასკნელი ოდნავ მაინც შერჩენია მას.

ავტ.

რედაქტორი მლვდელი სიმონ მჯედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Тифлисская ул., д. Джорджикія.